

# ევროპული სკოლის ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკით სარგებლობის გზამკვლევი



„ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკა ემსახურება სკოლის საზოგადოებას. ჩვენი მიზანია, მოსწავლეებს გავუღვივოთ უწყვეტი სწავლის სიყვარული. ბიბლიოთეკა ნებისმიერ სკოლასა თუ სასწავლო დაწესებულებაში მოზარდებს მრავალფეროვან რესურსებთან მუშაობასა და აკადემიური უნარების განვითარებაში ეხმარება.

„ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უზრუნველყოფს საჭირო ელექტრონული და ბეჭდური რესურსებით. აღნიშნულ სივრცეში ვიზიტორები ერთვებიან ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ სამუშაოებში, ასრულებენ საკლასო თუ საშინაო დავალებებს, კითხულობენ სასურველ ლიტერატურას.

ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათი- პირასკევი, 9:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე.



დაასკანერეთ კოდი,  
რომ ეწვიოთ ჩვენს  
ვებგვერდს

## ჩვენი კოლექცია მოიცავს 14,000-მდე:

- მხატვრულ ლიტერატურას;
- არამხატვრულ ლიტერატურას;
- ელექტრონულ წიგნს;
- დასურათებულ წიგნს;
- ლიტერატურას დამწყები

მკითხველებისთვის;

• წიგნებს სხვადასხვა ენაზე  
(ინგლისურისა და ქართულის  
გარდა);

- ელექტრონულ რესურსებს;
- ჟურნალებს;
- გაზეთებს;

ბიბლიოთეკა მდებარეობს  
მეექვსე სართულზე.

# ჩვენი წესები

- ბიბლიოთეკაში საკვებისა და სასმელის გამოყენება აკრძალულია;
- დაუშვებელია ქოლგის, ამანათის ან სხვა ნივთის შემოტანა, ფაილებისა და წიგნების გარდა;
- ბიბლიოთეკაში მკითხველმა უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე, სიწყნარე და არ შეუშალოს ხელი სხვა მკითხველებსა და პერსონალს.

## წიგნების/მასალების დაგვიანებით დაბრუნება

ბიბლიოთეკიდან ახალი მასალის გატანამდე აუცილებელია, წარსულში ნათხოვი ლიტერატურის დროული დაბრუნება.

წიგნების/მასალების განახლება წიგნების ხელმეორედ გატანა 2-ჯერაა შესაძლებელი, თუ არსებულ მომენტში მასზე არ არის სხვების მხრიდან მოთხოვნა.

## წიგნების გატანა ბიბლიოთეკიდან

იკრძალება ბიბლიოთეკიდან წიგნების ან სხვა მასალის გატანა აღურიცხავად. ბიბლიოთეკის რესურსის გატანა რეგისტრაციის გარეშე სერიოზული დარღვევაა. გატანილი მასალა უნდა დაბრუნდეს განსაზღვრულ ვადაში. ჩვეულებრივ, ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობის ხანგრძლივობა ორ კვირას მოიცავს. თუმცა, ბიბლიოთეკამ შეიძლება სხვადასხვა ტიპის რესურსსა თუ მომხმარებელზე განსხვავებული ვადები დააწესოს. იკრძალება ბიბლიოთეკიდან ლექსიკონების, ცნობარებისა და სახელმძღვანელოების გატანა.

## წიგნების/მასალების დაკარგვა

თუ მკითხველი დაკარგავს გატანილ წიგნს, ის ვალდებულია, დააბრუნოს იგივე წიგნი (თუ შესაძლებელია მისი შეძენა) ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძინოს იმავე ღირებულების წიგნი (იმავე სფეროდან) ან გადაიხადოს დაკარგული წიგნის საფასური.



## მეცადინეობის საათი

მეცადინეობის საათი გჭირდებათ, რათა:

- ორგანიზება გაუწიოთ სწავლის პროცესს;
- გადახედოთ იმ მასალას, რომელსაც გაკვეთილზე გაეცანით;
- წაიკითხოთ და მოინიშნოთ თქვენთვის საინტერესო საკითხები და მოამზადოთ საშინაო დავალება;
- მოიძიოთ ინფორმაცია იმ საგნებზე, რომელსაც გადიხართ; შესაძლოა, მოსწავლეები იკვლევდნენ ამა თუ იმ საკითხს სადიპლომო ნაშრომის, ცოდნის თეორიის ესეს ან სხვა საგნობრივი პროექტებისთვის.



## მეცადინეობის საათებში არ შეიძლება:

- საუბარი;
- კომპიუტერის გამოყენება არასასწავლო მიზნით, როგორცაა სოციალური ქსელებით სარგებლობა, თამაში, გართობა და სხვ.;
- ძილი;
- სკოლის ტერიტორიაზე სეირნობა.

